სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილის საგრანტო მიმართულების ფარგლებში ბენეფიციარის მიერ წარსადგენი აუდირებული დასკვნის კრიტერიუმები

1. ტერმინთა განმარტება

პროგრამა - სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილი;

აუდიტორული (აუდიტური) ფირმა - „ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 12 ივლისის N6-9 ბრძანების შესაბამისად განსაზღვრული სავალდებულო აუდიტორული ფირმა, რომელმაც ამავე ბრძანების შესაბამისად გაიარა ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი.

აუდიტორი - „ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 12 ივლისის N6-9 ბრძანების შესაბამისად განსაზღვრული სავალდებულო აუდიტორი.

ექსპერტიზის ბიურო - სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სახელმწიფო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო.

ამ დოკუმენტში გამოყენებულ სხვა ტერმინებს გააჩნიათ სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული მნიშვნელობა.

2. დოკუმენტის მიზანი

1. დოკუმენტის შექმნა ემსახურება პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარის მიერ სააგენტოში წარსადგენი აუდირებული დასკვნისთვის დადგენილ სავალდებულო კრიტერიუმების ჩამოყალიბებას.

3. გაწეული ხარჯის დათვლის მეთოდები

1. აუდიტის მიერ დადასტურებას ექვემდებარება მეწარმე სუბიექტის მიერ გაწეული ხარჯი, თუ იგი აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ყველა პირობას:

- გაწეულია პროგრამაში სესხის/სალიზინგო პროექტის დადასტურების მომენტიდან სააგენტოში ბენეფიციარის მიერ აუდირებული დასკვნის წარმოდგენის მომენტამდე;

- არსებობს გაწეული ხარჯის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტ(ებ)ი, რომლითაც უტყუარად დასტურდება პროგრამის ფარგლებში მიწოდებული მომსახურების განხორციელება (შემდგომში ოპერაცია) და რომელიც მოიცავს დეტალურ ინფორმაციას, როგორიცაა: ოპერაციის განხორცილების თარიღი, ადგილი, ოპერაციის მხარეები და მათი საიდენტიფიკაციო მონაცემები, ოპერაციის ღირებულება და რაოდენობა და სხვა არსებითი პირობები და ინფორმაცია) და დადასტურებულია

ოპერაციის მონაწილე მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ და დაზუსტებით ასახავს ოპერაციის დეტალებს;

- არსებული გაწეული ხარჯის შესაბამისად მიღებული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი;

- ყოვლ კონკრეტულ შემთხვევაში ხარჯის გაწევისას მითითებულია ბენეფიციარის ეკონომიკური საქმიანობის კოდი.

2. პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისთვის გაწეული ხარჯების დაანგარიშება ხდება საკასო მეთოდით.

4. აუდირებულ დასკვნაში მისათითებელი ინფორმაცია

- მეწარმე სუბიექტის სახელწოდება;
- მეწარმე სუბიექტის საიდენტიფიკაციო კოდი;
- მეწარმე სუბიექტის სააგენტოს პროგრამულ უზრუნველყოფაში დადასტურებული სესხის/ლიზინგის საგნის უნიკალური (ID) ნომერი;
- სესხის/ლიზინგის ხელშეკრულებაში და სააგენტოს პროგრამული უზრუნველყოფაში დადასტურებული ეკონომიკური საქმიანობის კოდი;
- გაცემული სესხის მოცულობა ან/და გაცემული ლიზინგის საგნის ღირებულება;
- სესხიდან გახარჯული ხარჯი (ცალ-ცალკე);
- მიღებული ლიზინგის საგნ(ებ)ის დასახელება/აღწერა;
- თითოეული ხარჯის მიმართება ეკონომიკური საქმიანობის კოდთან ან/და მიღებული ლიზინგის საგნის მიმართება ეკონომიკური საქმიანობის კოდთან[1];
- სესხის/სალიზინგო პროექტის ათვისების მოკლე ფინანსური შეჯამება;
- სესხის/ლიზინგის საგნის მიზნობრივი გამოყენების დამადასტურებელი ინფორმაცია;
- ზემოთ ხსენებული ინფორმაციის წყაროები.

5. აუდიტორის, აუდიტორული ფირმის და ექსპერტიზის ბიუროს ვალდებულებები:

- დაიცვას ხელშეკრულებითა და დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნები;
- დაადასტუროს ხარჯების მიზნობრიობა თანხების მითითებით და ამ ხარჯების აღნიშნულ პროექტზე გაწევა (საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის, ეკონომიკური საქმიანობების (NACE 2) კოდ(ებ)ის მიხედვით)/მიზნობრივი გამოყენება;
- შეამოწმოს თითოეული ხარჯი შესაბამისი ტრანზაქციის თანმდევი დოკუმენტების შემოწმებით;
- მიუთითოს გამოყენებული აუდიტორული სტანდარტები.

---

[1] აუდირებულ დასკვნაში უნდა მიეთითოს:
- სესხის შემთხვევაში: გახარჯული სესხის თანხით მოხდა მითითებული ეკონომიკური საქმიანობისთვის შესაბამისი ხარჯის გაწევა ან/და
- ლიზინგის შემთხვევაში: მიღებული ლიზინგის საგანი კავშირშია მითითებულ ეკონომიკური საქმიანობის კოდთან

6. აუდირებული დასკვნის წარდგენის შედეგები:

1. თუ ბენეფიციარის მიერ წარდგენილ აუდირებულ დასკვნაში მითითებული ხარჯები შეესაბამება ბენეფიციარის ეკონომიკური საქმიანობის კოდ(ებ)ს, სააგენტო მოახდენს გრანტის გაცემას პროგრამით დადგენილი წესითა და ვადაში.

2. თუ ბენეფიციარის მიერ წარდგენილ აუდირებულ დასკვნაში მითითებული ხარჯიდან მხოლოდ ნაწილი წარმოადგენს მიზნობრივ ხარჯს (გახარჯული ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისად) სააგენტო უარს ამბობს გრანტის მოთხოვნილი ოდენობის ანაზღაურებაზე და პროგრამით დადგენილი წესის შესაბამისად განახორციელებს სესხის/სალიზინგო პროექტის მიზნობრიობის კვლევას.

3. ამ დოკუმენტში ჩამოყალიბებული სავალდებულო კრიტერიუმების დაუცველად წარდგენილი აუდირებული დასკვნა არ წარმოადგენს სააგენტოსთვის, სააგენტოს მხრიდან გრანტის გაცემის საფუძველს. ასეთ შემთხვევაში სააგენტო უარს აცხადებს გრანტის ანაზღაურებაზე.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ შემთხვევაში ბენეფიციარი უფლებამოსილია ამ დოკუმენტში ჩამოყალიბებული სავალდებულო კრიტერიუმების დაცვით სააგენტოში ხელახლა წარადგინოს აუდირებული დასკვნა.